



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №28

2012 წლის 9 მარტი

ქ. ქობულეთი

ს.ს. „სილქნეტი“-სათვის სატელეფონო ქსელის კანალიზაციის მშენებლობასა და სატელეფონო ბოძების მონტაჟისათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ს.ს. „სილქნეტი“ აწარმოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატელეფონო ქსელის კანალიზაციის მშენებლობასა და სატელეფონო ბოძების მონტაჟს და ვით აღმაშენებლის გამზირზე.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ს.ს. „სილქნეტი“-ს ქ.ქობულეთის ტერიტორიაზე აწარმოოს

სატელეფონო ქსელის კანალიზაციის მშენებლობა და სატელეფონო ბოძების მონტაჟი და ვით აღმაშენებლის გამზირზე.

2. ს.ს. „სილქნეტი“-მა ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე სატელეფონო ქსელის კანალიზაციის მშენებლობა და სატელეფონო ბოძების მონტაჟისათვის საჭირო ნებართვის მისაღებად დაკავშირებული პროცედურები აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. გაფრთხილდეს ს.ს. „სილქნეტი“ მასზე, რომ სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილი განაშენიანების სამუშაოების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ძალებით უზრუნველყოს საკაბელო ტრასის ადგილმონაცვლეობა.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი);

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე